ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1373827

ნომერი: AR1228110

თარიღი : 11.06.2014

გაცემის თარიღი : 07.07.2014

გაცნობის თარიღი : 07.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 78 , (ნაკვეთი 04/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ინგა ბუხრაშვილი პ/ნ 01026013417
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 9 ბ. 162

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს.საბა+ კოდი: 205092647

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2014წ. #1191309 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/11/2014წ. #AR1228110განაცხადითმომართა ინგა ბუხრაშვილმა დამოითხოვა სამსახურის27.03.2014წ. #1191309 ბრძანებისტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 27.03.2014წ. #1191309 ბრძანებით, ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი, #78, (ნაკვეთი 04/022), შპს "საბა+"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.12.01.004.022) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის "A" და "B" ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 27 მარტიდან 2015 წლის 27 მარტის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა მესაკუთრე, შპს "საბა+". განმცხადებლისგანმარტებით, პროექტისშეთანხმებისას, საპროექტოდოკუმენტაციაშიარასწორადიქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 14413.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 143.8, საერთო ფართობი (კვ.მ).: 20443.5.

აღნიშნულისგამო, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს შევიდეს ცვლილება ბრძანებაში და მიეთითოს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 12 890.6, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1 645.9, საერთო ფართობი (კვ.მ).: 20 422.3, ხოლოდანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

ამასთან, ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისრეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13110758, ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/11/2013 16:52:14) დგინდება, რომ განმცხადებელი წარმოადგენს დამკვეთის, შპს საბა+“–ის დირექტორს.

სამსახურმაგანმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოსზოგადიადმინისტარციულიკოდექსის63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურსმიზანშეწონილადმიაჩნიაგანმცხადებლისმოთხოვნისდაკმაყოფილებატექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივეზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2014წ. #1191309 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 12 890.6, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1 645.9, საერთო ფართობი (კვ.მ).: 20 422.3, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.2014წ. #1191309 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.